ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1924293

ნომერი: AR1312525

თარიღი : 22.05.2015

გაცემის თარიღი : 29.05.2015

გაცნობის თარიღი : 30.05.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროს სადგურ , "სარაჭიშვილი"-ს მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , მეტროსადგურ "სარაჭიშვილის" მიმდებარედ, (ნაკვ.1/10) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ივანე მეზვრიშვილი პ/ნ 36001001704
- საგარეჯო სათავის ქ. N 51

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

2015 წლის 22 მაისის #AR1312525 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ საკადასტრო გეგმით #01.12.02.001.063 მიწის ნაკვეთზე ღია და დახურული სავაჭრო ცენტრის ასაშენებლად უკვე გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში (გადაწყვეტილება №786193) ცვლილების შეტანას, კერძოდ: ობიექტის ფუნქციაში – ღია და დახურული სავაჭრო ცენტრის ნაცვლად კომერციული, საოფისე და საცხოვრებელის დაფიქსირებას გაცნობებთ შემდეგს:

სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით აღნშნული ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება მიზანშეწონილად მიაჩნია მხოლოდ კომერციული და საოფისე შენობა–ნაგებობის ფუნქციით, შესაბამისად მოთხოვნის შესაბამის დახარვეზებულ ველში უნდა მოითხოვოთ ცვლილება კომერციული და საოფისე შენობა–ნაგებობის ფუნქციით.

იმისთვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნშნულ საკითხთან დაკავშირებით, დამატებით უნდა წარმოადგინოთ გენგეგმა საპროექტო შენობა–ნაგებობის განთავსების ჩვენებით და ესკიზური ვარიანტი – ფოტომონტაჟი არსებულ გარემოში.

-

შენიშვნა: მოთხოვნილი დოკუმენტები ატვირთულ იქნეს დამატებითი დოკუმენტაციის ველში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.